

ქართულში!



„...ბც სცქ სტუდენტ ყრც ლმრც რცნს ზცზსტქ ზტ+რცჩჩ...“

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი ❖ №2(19), 2001 წელი ❖ ფასი 30 თეთრი

ენა, როგორც წესი, არის სიმრავლე დიალექტებისა, რომლებს შორისაც დასაშვებია სხვაობები შესაძლოა, მნიშვნელოვნად ვარიანდებს და დამოკიდებული იყოს არა მხოლოდ ენობრივ ფაქტორებზე, არამედ სოციალურ პარამეტრებზეც (ენის მაგარებელთა ენობრივ თვითშეგნებაზე, ერთიანი დამწერლობის არსებობა—არარსებობაზე, დიალექტთა სოციალურ პრესტიჟზე, ცალკეულ დიალექტთა მაგარებლები ს რიცხვზე, გრაფიციებზე და სხვა). უპირველეს ყოვლისა, დიალექტი არის გეოგრაფიულ პრინციპზე დაფუძნებული ენობრივი ვარიანტი. იგი, ჩვეულებრივ, განსხვავებულია კილოსაგან, თუმცა დიალექტი კილოსაც მოიცავს, მრავალი დიალექტი რეგიონულია წარმოშობით და განეკუთვნება სპეციფიკურ სფეროს. იმ პერიოდთან შედარებით, როცა დიალექტოლოგები ძირითადად სოფლის მეცნიერებებით ინტერესდებოდნენ, დიალექტოლოგია მნიშვნელოვნად დაწინაურდა, იგი გრაფიციული დიალექტოლოგიიდან გადაერთო უახლეს მოძღვრებებსა და ქალაქურ დიალექტებზე. პრინციპულად მნიშვნელოვანია ამერიკელი სოციოლოგის უილიამ ლაბოვის წვლილი, რომლის ადრეულმა ნაშრომებმა ნიუ-იორკის მცხოვრებთა მეცნიერების შესახებ გაველენა მოახდინა სოციოლინგვისტთა მთელ თაობაზე. გრაფიციულსა და თანამედროვე ლინგვისტებს შორის სხვაობა კარგად წარმოთავსინა პიგერ გრუჯილმა (1990). რეგიონულ და ქალაქურ დიალექტებს გარდა არსებობს, აგრეთვე, ეროვნული და საერთაშორისო დიალექტური სახეობები, შოკლანდიურისა და ამერიკულის შესახებ. ზოგი სპეციალისტი განგებო გერმინებსაც მიმართავს, რათა ამ სიმრავლეს თავი მოეყაროს სოციალური კლასის ფარგლებში, თუმცა, უმჯობესია მათ-

თვის გამოვიყენოთ გერმინი—სოციოლექტი, ამ შემთხვევაში გერმინი დიალექტი ღარჩება გეოგრაფიული სიმრავლის აღმნიშვნელად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გერმინი „დიალექტი“ საკმარისად მეცნიერულია, თვალსაჩინოა (მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ენის ერთი სახესხვაობა შეიძლება მეო-

რემე უკეთესი იყოს. თუმცა ადამიანებს ხშირად საკუთარი აზრი აქვთ ამ უპირატესობაზე და ცდილობენ, გააზვიადონ და დაიცვან თავისი სამეცნიერო ვარიანტი), მაგალითად, ენობრივი მართებულობის საკითხი ისმის სტანდარტული ინგლისური ენის მიმართაც, რომელიც, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც არადიალექტი, მისი ნაციონალური სტატუსისა და არარეგიონული ხასიათის გამო. ცნობილია, რომ ისტორიულად, ამჟამინდელი სალიგურაგურო (სტანდარტული) ინგლისური ენა იყო კონკრეტული რეგიონის ადგილობრივი დიალექტი და შემოისაზღვრებოდა ოქსფორდით, კემბრიჯითა და ლონდონით. მისი მნიშვნელობა გაიზარდა სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენით, თუმცა ის კიდევ კარგა ხანს რჩებოდა ენის ნაირსახეობად (თუმცა არარეგიონულ და სოციალურად ნორმატიულ სახეობად) და, ამიტომაც, იგი ჯერაც შეიძლება დიალექტად ჩაითვალოს. თუმცა სტანდარტული ინგლისური გამორჩეულია სხვა დიალექტთან თავისი სოციალური ბედი. იგი უნიკალურია დიალექტთა შორის იმითაც, რომ არ არის დაკავშირებული სპეციფიკურ აქცენტთან (რომელიმე სპეციფიკური გამოთქმა კოქსისა თუ უელსურზე ნებისმიერი აქცენტით შეიძლება წარმოითქვას). იგივე ითქმის სხვა

დიალექტების შესახებაც. თუმცა ძნელი წარმოსადგენია კოქსზე მოლაპარაკე, რომელიც ამავე დროს კოქსის აქცენტითაც არ ლაპარაკობს (მაგ., ინგლისური სალიგურაგურო ენა ითხოვს „სტანდარტობას“, თუმცა მისი განვითარების საფუძველს წარმოადგენს ორი ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტი: პირველი—ესაა

იმ ინგლისური ენის მრავალფეროვნება, რომელიც ისწავლება; მეორე, ესაა სწავლების სფეროთა მრავალფეროვნება, რომელიც ისწავლება; მრავალფეროვნება (ანუ ისწავლება სხვადასხვა პარამეტრები). სტანდარტული ინგლისური, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, წერილობითი სახესხვაობაა. ამასთან, იგი იშვირება ლექსიკონებსა და გრამატიკებში და მისი განვითარების პროცესი ლინგვისტთა კონგრესის ქვეშაა იმ მიმართულებით, რომ ფორმის ცვალებადობა მინიმალური იყოს, ხოლო ფუნქციისა—მაქსიმალური. ეს ნიშნავს, რომ სინგაქსური და ორთოგრაფიული ცვალებადობა სტანდარტულ ინგლისურში შემზღვეულია (ჩვეულებრივ, სიკვყის ჩაწერის მხოლოდ ერთი ფორმა არსებობს), ხოლო ამავე დროს ეს სიგყვა იხმარება სრულიად სხვადასხვა კონტექსტებში: კანონი, მედიცინა, ეკლესია, პოლიტიკა და სხვ. კონტრასტისათვის შეიძლება დავასახელოთ რეგიონული და ქალაქური დიალექტები, რომლებიც ჩვეულებრივ არასტანდარტულ ინგლისურ ენად იხსენიებიან, ფუნქციურად შემზღვეული არიან და არა აქვთ რამე დადგენილი ორთოგრაფიული ფორმა. თუმცა მუსიკის საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია (თუ მაგალითად, ავტორს ლიგურაგურულ ნაწარმოებში სურს დიალექტის გა-

მოყენება, ასეთ შემთხვევაში იგი მიმართავს ვარეგულ შესავსებას, ე.წ. თვალის დიალექტს, რომელიც ჩაწერის მეთოდი და რაც არაგრადიციულად მიუთითებს დიალექტზე მოლაპარაკებზე (აქ შეიძლება ქართული მწერლობის არაერთი ნიმუშის მოხმობა; მაგ., ლელთ ლუნას მეცნიერება, ან კლდიაშვილის პერსონაჟთა ენა და სხვა), მაგრამ ჩაწერის შედეგი, ფონეტიკური თავისუფლების გამო, ხშირად საკმაოდ უცნაური). სოციალური ფასებების ცვალებადობას ხშირად მოსდევს დიალექტიდან დიალექტზე გადართვა. ეს, ჩვეულებრივ, იწვევს გადასვლას რეგიონული ან ქალაქური დიალექტიდან სტანდარტულზე და შეესაბამება „ფორმალურობის“ სათანადო ხარისხებს, ასე რომ, შეიძლება ლაპარაკი ადგილობრივ დიალექტზე მეგობართან, მაგრამ არა სამუშაოსთან დაკავშირებით. ამ გავლით „დიალექტი“, როგორც გერმინი, ორმაგ შინაარსს იძენს. სხვაობა დაადგინა მაიკლ პოლიცი (1978): ფუნქციურად დიალექტს აქვს რეგისტრი, რომელიც იცვლება მოხმარების შესაბამისად, და რეგისტრი, რომლის ცვლაც მომხმარებელზეა დამოკიდებული. პრაქტიკაში დიალექტი ხშირად მიმართავს რეგისტრის ფუნქციას. სტანდარტული გმა, რომელსაც მიმართავს სოციოლინგვისტიკა ენის სოციალური მოხმარების სახეობათა შესასწავლად, თავის დროზე გამოიყენა ნიუ-იორკში ლაბოვი და ნორვიჩში—გრუჯილი.—ეს არის მოხახლეობის შემთხვევითი შერჩევის გმა. ამ ხერხით მრავალი ლინგვისტური ცვლილება შერჩეული მოხახლეობის სტატუსი, რომლებიც მოახსულდ შეიძლება ხოლმე, მოწმდება სპეციფიკური ვარიანტების ხმობის დასადგენად (მაგ., ინგლისურში „r“-ს წარმოთქმის თავისებურება

მანანა ტაბიძე სოციოლოგიური დიალექტი

ინგლისური ენის დიალექტები

ინგლისის ისტორიის ქრონოლოგია და ანა

თანამედროვე სტანდარტული (ნორმატიზებული) ინგლისური ენის დიალექტებია: ამერიკული, ავსტრალიური, ბრიტანული, კანადური, მავაის, პიჯინის, ახალი ზელანდიური და შოტლანდიური (შოტლანდიელთა ინგლისური).

საყოფიერ ბრიტანულის ტერიტორიაზე დიალექტებზე გამოყოფილია: იორკშიულის, გორდონული, ნორფოლკური, შოტლანდიური, კოკნი, უილტშიულის, ლეიკენდორის, ლინკოლნშიულის, ლენკეშიულის, თინესური, კალიფორნიული, სინგაპურული და ნოტინგემური.

არასტანდარტული ინგლისურის დიალექტები:

- 1. ურბანული დიალექტები: 1. ურბანული დიალექტები; 2. ზანგების ინგლისური... 3. სამხრეთ-ამერიკული ინგლისური... 4. ამერიკელ-ინდიელთა ინგლისური; 5. აპალაჩური ინგლისური...

და ადგილობრივი წარმოთქმა-ინტონაციის ცვლილება დიალექტებს შორის ურთიერგაგებინებს ართულებს. ურთიერგაგებინების დეფიციტის მიუხედავად არ უარყოფენ აზრს, რომ დიალექტებზე მოსაუბრეებისთვის ინგლისური ენა მინც არის ერთი, საერთო ლინგვისტური ფორმა, რომელსაც ამყარებს ენის დამწერლობა და მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მნიშვნელობა.

ენისა და დიალექტის მიმართების კვლევისას არსებობს საწინააღმდეგო ფაქტებიც, კერძოდ, გვაქვს ეროვნული თვითშეგნებისა და „გაგებინების“ ურთიერგაგებინების სხვა კრიტერიუმებიც; კერძოდ, ორი მოსაუბრე აგებინებს ერთმანეთს, მაგრამ პოლიტიკური და ისტორიული მიზეზების გამო ისინი სხვადასხვა ენებზე სახელდება სამეტყველო კოდებზე საუბრობენ; მაგალითად, „გაგებინების“ კრიტერიუმის გამოყენების თვალსაზრისით არსებობს ორი სკანდინავიური ენა: კონტინენტალური (შვედური, დანიური, ნორვეგიული) ორი სტანდარტული ვარიანტი) და ინსულარი (აისლენდიური, ფერესე). შვედები, დანიელები და ნორვეგიელები ერთმანეთის საუბარს იგებენ, მაგრამ, როცა არა-ლინგვისტურ, პოლიტიკურ-კულტურულ კრიტერიუმებს ვითვალისწინებთ, ჩვენ გამოვყოფთ სულ მცირე, ხუთ ენას; კერძოდ, იყო ნორვეგიელი, ნიშნავს, ისაუბრო ნორვეგიულ ენაზე; იყო დანიელი, ნიშნავს, ისაუბრო დანიურად და ა.შ. ამ შემთხვევაში გვაქვს ენის პოლიტიკური და ლინგვისტური გაიგივებები.

შეუძლებელია მარტივი ფორმულირებით განესაზღვროთ დიალექტების ცვლილება სოციალურად სხვადასხვა ფენის საზოგადოებისათ-

Table with 3 columns: თარიღი (Date), ისტორიული მოვლენები (Historical events), ენა (Language). It lists various historical events and their corresponding linguistic influences or changes in English.

ვის. აგრეთვე სამძებრო ჯგუფების, ქუჩის ბანდების, პოლიტიკური პარტიების და რელიგიური დაჯგუფებებისათვის. ასეთ შემთხვევებში დიალექტი შეიძლება გამოვლინდეს როგორც პატარა მარტივი სიტყვა, ფრაზა, წარმოთქმა ან მთელი სასაუბრო ენა.


ქვემოთ წარმოდგენილია ორი პირამიდა, რომელიც აღნიშნავს თურა განსხვავება შეიძლება იყოს დიალექტსა და ინტონაცია-წარმოთქმას შორის სოციალურად სხვადასხვა ფენის საზოგადოებისათვის. ეს ორი პირამიდა გვიჩვენებს ენისა და ინტონაცია-

წარმოთქმის ურთიერთობებს სოციალურად სხვადასხვა ფენის საზოგადოებაში. პირველი პირამიდის მწვერვალზე არიან მოსაუბრეები, რომლებიც წარმოადგენენ მაღალ სოციალურ ფენას. ისინი საუბრობენ სტანდარტული ინგლისურით, რომელშიც შეინიშნება რეგიონალური დიალექტის ვარიანტები. მეორე პირამიდის მწვერვალზე საზოგადოების უმაღლესი ფენაა, რომელთაც ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა გააჩნიათ. მათი წარმოთქმა-ინტონაცია ლიტერატურულად დახვეწილია და ისინი არ გამოიყენებენ რეგიონალურ დიალექტებს. მაგალითად, მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენლები ერთნაირად გამოიყენებენ და წარმოთ-

ქვამენ სიტყვას „headache“ (თავისტკივილი), ხოლო უმდაბლესი ფენა „თავისტკივილს“ სხვადასხვაენაირად წარმოთქვამს: skullache, head-wark, head-warch, sore-head და ა.შ. ცხადია, რომ დაბალი ფენის საზოგადოებაში უფრო მეტად შეინიშნება რეგიონალური დიალექტების გამოყენების მომენტები, ვიდრე საზოგადოების მაღალ ფენებში. ამგვარად, გაგებინების პრობლემა აქვთ არა მხოლოდ ინგლისურის სხვადასხვა დიალექტების მფლობელთ, არამედ ერთი დიალექტის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებსაც. და ბოლოს, ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, სადაც წარმოდგენილია ინგლისის ისტორიისა და შესაბამისად, ინგლისურის ენობრივი სიტუაციის მომენტები.

მასალა მომზადებულია დ. კრისტალის, უ. ა. მაუკის, ჯ. ჩესმაიეს და ე. ა. ჰანსონის გამოკვლევების მიხედვით.

საბუხა ჯაგაბაძე



სოციალური თიხლეები

სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში). შედეგების შეფასება ხდება იმ სოციალური ინდექსების შესაბამისად, რომელთაც განეკუთვნება ინფორმაციური (აქ იგულისხმება საქმიანობის სფეროები. ამგვარი მონაცემების საფუძველზე ხდება თავისებურებათა (ცვლილებათა) გავრცელებულობის დიაგრამების შედგენა. ასე რომ, ცდაში შედეგობრივობისადმი არა მხოლოდ სტილური (ე.წ. ფუნქციური სტილები), არამედ სოციალური ფაქტორებიც ამ კვლევებში საყურადღებოა, რა არის სამეცნიერო ბაზისი, რის კონკრეტულირებას ახერხებს მოლაპარაკე და

რა სამეცნიერო მოვლენათა იგნორირება ხდება მოლაპარაკის მხრიდან. ძირითადად იგნორირებულია ის, რისი შეგრძნებაც დაბალია. ენობრივ ვარიანტათა იმ სახეს, რომელსაც მოლაპარაკე აცნობიერებს (აკონტროლებს) მარკერებს უწოდებენ, მეორეს კი (რომელსაც ვერ ამჩნევს) ინდიკატორი ჰქვია. მოგჯერ ესა თუ ის სამეცნიერო ფაქტი თვება-პირველად ინდიკატორია (მაგ, იმ სოციალურ ჯგუფში, სადაც ეს ენობრივი ფაქტი ჩაისახა), შემდეგ კი იგი მარკერად შეიძლება იქცეს (მაგ, ინგლისური h-ს დაწევა-გაქრობა სოციალურ სტრატეგიაში). მარ-

კერები საბოლოოდ ქმნიან თავისებურებას, რომელიც შესაძლოა იმდენად იყოს განსხვავებული სხვა ჯგუფისაგან, რომ სტერეოტიპულად გადაიქცეს. ასეთი ცვლილებები ძირითადად ქვეცნობიერია (მაგრამ არა ყოველთვის). როგორც კი თავისებურება გაამრებული ხდება, ანუ ცნობიერებაში გამოვლინდება, მით უფრო, თუ იგი სტერეოტიპულად გადაიქცევა, შესაძლებელი ხდება მისი შესწავლა და სხვა სამეცნიერო ვარიანტებთან მისი შედარება. შედარებისას ერთ-ერთი ასპექტი სოციალურად პრესტიჟულობის მიხედვით დაღაგებაა. კვლევისას გამოი-

ყენება სოციალური ჯგუფების საკუთარი დინამიკა, რაც გაცილებით ძლიერად გემოქმედებს მეცნიერებაზე, ვიდრე კლასის უფრო მარტივი კატეგორიები (აქ თავს იყრის ერთი მხრივ ენის, ხოლო მეორე მხრივ სქესის, რასის, იდეოლოგიის, საქმიანობისა და სხვ. მიმართების ბრდის საკითხები) ეს მოვლენები ექსტენსიურად (რაც დაკავშირებულია რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ მრდასთან) შეისწავლებოდა და მათი წყალობით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ენა არის სოციალური სინამდვილის სარკე.

ორენოვანი წარწერები

ჩვენ, ენა და ქუჩა

არასოდეს შეუძლებოდა განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობა. შირად იმყოფებოდა ხედი შევსებული ტარიელ დათიაშვილივც ხომ ბუნებრივად, სამყაროს ეწინააღმდეგება, ამიტომაც არასოდეს გავხდები გამოირჩეულბის უინით შემდგომილი ან ნაპილისტი.

მეც ვეთანხმები, თუმცა, ხანდახან ეჭვები მაძვრობს. ხომ არ არის ჩვენი სინამდვილე ამოგარდნილი, არ ვიტყვიდი სავსებით წესრიგიდან თუ კანონზომიერებიდან, არამედ ქოსიდან, რომელიც სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. მე ამ ეჭვს ჩვენს ქვეყანაში ლამის კანონად ქცეული ორენოვანი წარწერები მიძღივებებს, თითქოს, ნამდვილ კი არა, მონევენებით სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყოველ

წარწერას თავისი ორენოვანი უნდა ახდეს, რათა გაამარტოს და გაამყაროს სინამდვილის ილუზია, არადა, სწორედ ეს ორენოვანი წარწერები იწვევენ შიშს და უნდობლობას. არასრულფასოვნება? სისუსტე? უბასუსისმგებლობა, ორმაგი სტანდარტი? რას უნდა ნიშნავდეს ორენოვანი წარწერები? იქნებ, მეორე ენაზე თარგმნის მითხონილება უფრო უბრალოდ და მარტივად ასახსნელი მოვლენაა, ანუ



მიმდინარეობს ფარული, ადვილადგასაგები მისწრაფებიდან—ფართოდ გავრცელებული, სავსეთაშორისი ენაზე გადავიტანთ ჩვენი დღეების, რეგულაციები, კულტურა, ჩვენი განსაკუთრებულობა და უთარგმნელობა. ეს ყველაფერი სინამდვილეში არც ისე გასაგებია, პირიქით, შესაძლოა, ისეთივე გაუგებარია იყოს, როგორც დღეს უკვე

მივიწყებული „ფეხტრასტრული ცენტრალიზმის“ იდეა. ზიზილისის ყველაფერს შინააზროვნით შრაველობითობის ერთ სინტეზურ ერთობაში, ერთ ენაში მოქცევის მცდელობა. დამატება: გაუცხოების ის სურსული, რაც უცხოეთის წარწერებს ახლავს, ოცნახვადაც ვერ მივდრება სინამდვილის, რაც მხოლოდ ქართულენოვანი წარწერებით სავსე ქუჩაში შეიძლება გამოიყვანოს შრეაღი, ლამაზი ქართული წარწერები სრულიად დაკარგავენ ამ გულუბრყვილობას, რითაც დღეს ინგლისურის გვერდით გამოიყვანებიან.

მინიბან მანონი

სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები

დედამთილი, მამამთილი

დედამთილი, მამამთილი საერთო ქართველური წარმოშობის სიტყვებია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კომპოზიტთა მეორე ნაწილის არქტიპად მიჩნეულია მთილი, რომლისგანაც კანონზომიერი ბგერათშესატყვისობით მიღებულია ქართული მთილი (დედამთილი, მამამთილი), სვანური—მთილი (დედამთილი, მიმთილი), მეგრული—ნთილი (დინთილი, მუანთილი), ქართული (მთირე/მთირ) (დამთირე-დედამთილი, მთირ-მამამთილი).

დედისათვის მთილი კომპონენტი სემანტიკურად არაა გამკვირვალე. შესაბამისად სამეცნიერო ნარკომებში იგი სხვადასხვაგვარად არის აღნიშნული, მთილი შეიძლება ნიშნავდეს: 1) ნაცვალს, მაგიერს (ი. ყიფშიძე); 2) მოკეთეს, კეთილს, სასურველს (ქ. ლომთათიძე). მაშასადამე, დედამთილი, ერთი თვალსაზრისით, დედის ნაცვალი, დედის მაგიერია; მეორე თვალსაზრისით კი—დედა კეთილი, სასურველი დედა, ანალოგიურად აისხნება მამამთილიც.

ახალ სალიტერატურო ქართულში მთილი ფუძე დამოუკიდებლად არ გამოიყენება, მაშინ, როცა ქართული იგი (მთირ) ცალკე სიტყვაა და ნიშნავს მამამთილს. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა მთილი ძველად ქართულშიც არსებულიყო დამოუკიდებლად; არ არის გამოირჩეული, ქართლის დღევანდელი ვითარება იყოს თავდაპირველი ქართული წარმოების გამოძახილი (მთილი ქართულიდან იყოს შესული სხვა ქართველურ ენებში). ეს დამოუკიდებელი ფუძე შენახული აღმოჩნდა დარქმურსა და რაქულში საკმაოდ გავრცელებულ სიტყვაში სამთილო. ეგვიფე ფუძე დატყვილი სვანურშიც, სადაც გაფორმებულია შესაბამისი და პრეფიქსით (ლმმთილი). სამთილო უკავშირდება ქორწინების ნიდადზე დამოკრებებს, დანათესაებებს, ხან ცოლოურს მოიცავს და ხან—ქმარულს, უფროსი სამოკეთეს—დედამთილს, მამამთილს, სიდედრს, სიმამრს, მავალეს... კეთილებს (ქ. ლომთათიძე). მიუთითებენ აგრეთვე, რომ შესაძლებელია მთილი ფუძეს უფრო ზოგადი სემანტიკაც ჰქონოდა. დედამთილი, მამამთილი კომპოზიტთა პირველი ნაწილის (დედა, მამა) დართვა ამ ზოგად მნიშვნელობას აკონკრეტებს (ზ. სარგველაძე, ჰ. ფერნიხი).

მთილი სიტყვის თავდაპირველ სემანტიკად ნაცვალის, მაგიერის მიჩნევა არ გაიზიარა არც, ჩიქობავამ (თუმცა თავად არ მოუციას საანალიზო ერთეულის ეტიმოლოგია). ჩვენც ვფიქრობთ, რომ შემოსხვნებული (ი. ყიფშიძის) კვალიფიციაცია არ ჩანს დამაჯერებელი, ერთგვარ საცილობელ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს დედინაცვალი, მამინაცვალი—სიტყვების არსებობაც (მათი საგანგებო კვლევა ცალკე საკითხია).

მეორე მხრით, მართებულად მიგვაჩნია ქ. ლომთათიძის თვალსაზრისი, რასაც უფრო სარწმუნოს ხდის ის ფაქტიც, რომ ქართულმა ენამ მოგვიანებით შექმნა ქორწინებითი

ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი მოკარე (მოკრები). მასში იგულისხმება ცოლისა და ქმრის ნათესაეები (დედამთილი, სიდედარი...), რომელთა დაკავშირების საფუძველია სიყვარული, მოკეთება, სასურველობა. მართალია, დედამთილი, მამამთილი ქართულში, მეგრულსა და სვანურში ფორმობრავად დღესაც მსგავსნი არიან, მაგრამ მათი სემანტიკური დატვირთვა მკვეთრად განსხვავებულია. კერძოდ: ქართულში დედამთილი ჰქვია მხოლოდ ქმრის დედას, მამამთილი—ქმრის მამას. მეგრულსა და სვანურში ამ სიტყვითა მნიშვნელობა უფრო ფართოა: დინთილი, დინთილი, ნიშნავს მეუღლეების დედას, მუანთილი, მიმთილი—მეუღლეების მამას. ე. ი. მეგრულ-სვანურში არ არსებობს ქართული სიდედარ-სიმამრის შესატყვისი ერთეულები.

ამ სემანტიკურ სხვაობას შეიძლება სხვადასხვაგვარი ახსნა მოეძებნოს. იმ ვარაუდის გათვალისწინებით, რომ მთილი ქართულიდან უნდა იყოს შესული სხვა ქართველურ ენებში, საფიქრებელია, „მამამთილი, დედამთილი ქართულ-მეგრულ-სვანურშიც თავდაპირველად მხოლოდ რძლის თვალსაზრისის გამოძახებელი უნდა ყოფილიყო: აღნიშნავდა მხოლოდ ქმრის დედასა და მამას, როგორც ქართულშია. სიდედრისა და სიმამრის გამოხატვა შემდეგ უნდა დაკვირვებოდა“ (არც. ჩიქობავა). ამ გარემოებას, ალბათ, იმანაც შეუწყა ხელი, რომ რძლისა და სიმამრის ქმრისა და ცოლის მშობლებისადმი დამოკიდებულება (მოკეთება-სიყვარულზე დაფუძნებული) ერთნაირი უნდა ყოფილიყო. თქმულის ნათესაყოფად შეგვიძლია დავიმოწმოთ ჩვენში ძველიდან მოყრღებული საუკეთესო ტრადიცია, რომლის მიხედვით, რძალი დედამთილს ეძახის დედას ან დედაბატონს, მამამთილს მამას, მამაბატონს. ზოგჯერ სიდედარ-სიმამრის აღსანიშნავად სიტყვიც ჰქვია დედასა და მამას იყენებს.

როგორც ვხედავთ, დღეს მეგრულ-სვანურში დედამთილი, მამამთილი სიტყვების სემანტიკური დატვირთვა ქართულიდან განსხვავებულია, მაგრამ იგი ემთხვევა ევროპული ენების ჩვენებს. მაგალითად, ინგლისურშიც არ ხდება დიფერენცირება ქმრისა და ცოლის მშობლების გამოხატვაში (Mother-in-law-დედამთილი, სიდედრი, Father-in-law-მამამთილი, სიმამრი). მიუხედავად ამ მსგავსებისა, საანალიზო ლექსემათა მოტივაცია სრულიად განსხვავებულია. ინგლისურში Mother-in-law ნიშნავს კანონით შექმნილ დედას, Fother-in-law—კანონით შექმნილ მამას (ანალოგიური ვითარებაა იტალიურშიც), ქართველურ ენებში კი დედამთილი აღიქმება როგორც სასურველი, კეთილი, მოკეთე დედა, მამამთილი—სასურველი, კეთილი მამა... ამ ერთეულთა მოტივაციაში, ინგლისურისაგან განსხვავებით, კანონი არ ერთვება, დანათესაებებს კანონის ძალა კი არ განსაზღვრავს, არამედ სიყვარული, მოკეთება.

მუჟუსან ფიქარიშვილი

სტყუდენები სახელმწიფო ენის შესახებ

იდიძბრთ! თიძბს საყმრც მბჭყუმბა...

სხვადასხვა პროფესიის ადამიანისათვის ენა სხვადასხვაა, პროფესიის არმქონისათვის კი სულ სხვა, მთავან განსხვავებული და უჩვეულო. ზოგისთვის ენა მხოლოდ სასაუბრო საშუალებაა, ზოგისთვის—საკვლევი, ზოგისთვის—რა და ზოგისთვის—რა. ვისთვის როგორია ენა, ვინ როგორ პატრონობს მას ან ვის როგორ ესმის ენა, ამის გასარკვევად რამდენიმე რესპოდენტი ავირჩიეთ, ისინი სტუდენტები არიან. მათ დიდი სინარულით არა, მაგრამ მაინც ვამცეს პასუხი შეკითხვაზე:

—რა არის თქვენთვის ენა?
მანანა:—ენა ჩემთვის არის, უხეშად რომ ვთქვა, „არალი“, რომლითაც ვამოგზაბტავ ჩემს ტკივილს, სინარულს, იმდგაცრრუებას, სხვისადმი დამოკიდებულებას და ა.შ.

ხათუნა:—ენა ჩემთვის სასაუბრო საშუალებაა, რომლითაც ვილაყას რალაცას ვავებინებ, ჩემი აზრის გამოთქმა შემიძლია.

—რას ნიშნავს თქვენთვის, რომ მართალია ხართ და მართლ უნდა სპარტობთ?

ირინა:—ქართველისთვის საქართველოში ქართული ენაზე საუბარი დიდი საამაყება. მხოლოდ ჩანს უე ჩვენი აზრსაც ერთერთი სიმაია, და არაფერია ისეთი საამო და სანეტარო, როგორც ამ სიმაით ქართული სიტყვის აუღერება. ქართული ენა მაცოცხლებს, მაცხოვრებს და მატკბობს. მადონა:—ბევრს ნიშნავს ჩემთვის... სასიამოვნოა ქართველობაც და ქართული ენაც. ქართული—ესაა უნიკალური ენა, ერთერთი უძველესი. იგი უნიკალურია თუნდაც იმიტომ, რომ არ სჭირდება: სკესის გამოხატავად არტიკლი, დიდი და პატარა ასოები, რბილი ნიშნები და ა.შ.

—სჭირდება თუ არა მნას ღაცკა და ბიშიმბრამ თუ არა ამაზმ?

სოფო:—ენას დაცვა სჭირდება ბარბარიზმებისა და ფარგონებისაგან, მე მიფიქრია ამაზე, ვცდილობ კადეც: დაცვა ენა, საკუთარი მტყუდულება „სიბინძურისაგან“, მაგრამ მჭონია, რომ არაფერი გამოძის!

მანანა:—ენას დაცვა აუცილებლად სჭირდება მატჩხად აღიქმული ენა რაკორც ქართველის ისე არაქართველის თვალში კარეყას იმ დონტექმბას და ფაჩეულობებს, რაც მბთეობაა დამატახა-

თებელი. სასინელიებაა, რიცა ქართული გამარჯობის ნაცვლად იყენებს „პროფესს“, „მამს“ და ა.შ. ჩვენ ქართველები ვართ და ნამდვილი, სუფთა ქართულით უნდა ვისაუბროთ.

—რაშმენაღ ბარბაღ საზმრტბმ ამ მნაზმ?

მანანა:—საშუალოდ, ვცდილობ, „კარვად“ ვისაუბრო, სხვასაც შეუყუსწორო შეცდომები, მაგრამ მჭონია, რომ შეიძლება მე ყველაზე მეტ შეცდომას ვუშვებ საუბრისას.

მადონა:—ყოველითვის არ ვსაუბრობ სალიტერატურო ქართულით, ხშირად ვყენებ დიალექტურ ფორმებსაც.

—როგორ მოამზდა პრთმამნთი მნაღა „მოღა“?

ლია:—ყველა ფენის თავისი სასაუბრო ენა აქვს, ერთი მეთისგან განსხვავებული სიტყვას „იჭერს“, მერე მას თავის საუბარში იყენებს—უმიზეზოდ, მაგრამ მაინც, რატომღაც სხვას მოსწონს ასეთი საუბარი, სხვიდან კადეც სხვას და ასე ვრცელდება სიტყვის „მოღურობა“.

თეა:—„ენა და მოღა“ არსებობს და ეს უარყოფითი შეგავლენას ახდენს ენაზე. ბევრი საუბრობს ისე, რომ არ ესმის, უფრო სწორად, საუბრისას იყენებს ისეთ სიტყვებს, რომელიც არ ესმის. ეს სიტყვები უბრალოდ ვაუგონია, მოსწონება „მოღურად“ ჩათვლილია და თვითონაც, მოღაას აყოლილს, შეუთავსებია თავისი საუბარისთვის, უადვილოდ, მაგრამ—„მოღურად“.

ასეა, ბევრი ჩვენგანი უამრავ შეცდომას უშვებს, უამრავ სიტყვას ამახინჯებს, აახლებს, „მოღურს“ ხდის და არც ერთი არ ვფიქრობთ, რომ ამით ენას უფსკრულისაქნ მიაჯკანკებთ.

ჩემი რეხიოდენტიკა. ასე თუ ასე, ფიქრობენ ენაზე, ამ ფიქრით საქმიან ქართული ენის საკეთილდღეოდ, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან, ბევრი კი...

იფიქრეთ ქართულ ენაზე! ნუ დავასამარებთ ენას, რომელიც ჩვენამდე სისხლის ფასად მოიტანეს ჩვენმა წინაპრებმა.

იფიქრეთ! ფიქრს საქმეც მოყვება...

ნათამ აპუაძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის ბაბელონის ხატელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ხნორშეკველება

მსახურულ-სახელოსნო ბრონტი

საყვილისახელი მსახურულად

თანამედროვე ქართული ხალხურ-ტრადიციული ხელოვნების მსახურული კუთვნილებითი ნაცვალსახელებით გადმოცემულ მსახურულ მნიშვნელობას და ვითარებითი უნდა დავხილავთ-ს ხნორშეკველებას:

მიცემითი: ჩემს მეგობარს შენს მეგობარს მის მეგობარს ჩვენს მეგობარს თქვენს მეგობარს მათს მეგობარს

ვითარებითი: ჩემს მეგობარად შენს მეგობარად მის მეგობარად ჩვენს მეგობარად თქვენს მეგობარად მათს მეგობარად

სახაუბრო ენაში გავრცელებულია გამარტივებული ფორ-

მები: ჩემ მეგობარს, მათ მეგობარს, ჩემ საქმეს, მათ საქმეს... ეს შეიძლება გაუგებრობის, კუთვნილებითი და პირის ნაცვალსახელების აღრევის მიზეზად იქცეს. მაგალითად: „შენ მეგობარს დაუძახე“, „თქვენს საქმეს აკუთვებთ“, „ჩვენს ქვეყანას ვეწირებით“, „მათ ხერხს მიმართეს...“ — აქ შენ, თქვენ, ჩვენ, მათ პირის ნაცვალსახელებია. მაგრამ წინადადებაში: „შენს მეგობარს დაუძახე“, „თქვენს საქმეს აკუთვებთ“, „ჩვენს ქვეყანას ვეწირებით“, „მათს ხერხს მიმართეს“... — კუთვნილებაა გამოხატული, შენს, თქვენს, ჩვენს, მათს კუთვნილებითი ნაცვალსახელებია. მაშასადამე, აზრის სიცხადისთვის აუცილებელია ზემოაღნიშნული წესის დაცვა.

რუსუაზნ სალინაძე




უცხო სიტყვები

უკანასკნელ ხანს ჩვენს მეტყველებაში ყოფილი თუ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი უცხო ტერმინი გაჩნდა. ამგვარად, საჭიროდ მივიჩნით, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული რამდენიმე სიტყვის განმარტება შემოგთავაზოთ.

ინგლისურ ენაში ლექსიმა **ოფისი** (office) ლათინურიდან (officium) დამკვიდრდა, როგორც საქმიანობის, ვალდებულების აღმნიშვნელი სიტყვა. ინგლისურში მან სამსახურის, კანცელარიის, კანტორის მნიშვნელობაც შეიძინა, მოგვიანებით კი ასე უწოდეს ამგვარი საქმიანობისთვის განკუთვნილ სპეციალურად აღჭურვილ დაწესებულებას, **ოფისი** ამერიკულ ინგლისურში დამკვიდრდა და მალე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა.

(უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973).

აქედან გამომდინარე, **ტელეფაქსი** /**ფაქსი** ასე განიმარტება: 1. ხელნაწერი შეტყობინებების, სტემებისა და დაბეჭდილი ტექსტების ნებისმიერ მანძილზე გადასაგზავნად განკუთვნილი ფაქსიმილური ტელეფონი. 2. შეტყობინება, რომელსაც იღებენ ან გადასცემენ ამგვარი აპა-



რატი. ინგლისური სიტყვა **სტეპლი** [staple] — რისამე ზედაპირზე ჩასამაგრებელი გარკვეული ფორმის მქონე ბოლოებწამახულ წვრილ მავთულს ნიშნავს. ესაა ე.წ. ფიგურული (კუთხოვანი) ფრჩხილი, რომელსაც ჩვენთან, პირობითად, სტეპლერის ტყვიასაც უწოდებენ. ამგვარი მავთულით ფურცლების ასაინქ მანქანას, კერძოდ, მავთულსაკერავ მანქანას (stapling machine) საქართველოში დიდი ხანია ფართოდ იყენებენ პოლიგრაფიაში (იგი პირველად 1870 წელს შექმნეს).


ინგლისურ ენაში მავთულსაკერავი მანქანის მნიშვნელობით გავრცელდა მეორე ტერმინი სტეპლერი არსებით სახელზე (staple) მოცემულ შემთხვევაში საგნის, ნივთის ან ინსტრუმენტის მაწარმოებელი (-er) სუფიქსის დართვით. გასული საუკუნის მიწურულს სწორედ ეს ახალი უცხო სიტყვა დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში,

რადგან **სტეპლერი** (ხშირად ამგვარი არასწორი წარმოთქმის გამო მას შეცდომით ინგლ. სიტყვას step — ნაბიჯს უკავშირებენ) ფურცლების ან მისთ. ასაკინძი ხელით მართვადი სამარჯვი საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო საქმიანობაში ფართო მოხმარების ხელსაწყო გახდა.

სკოტი ანუ იგივე **სკოტი**, როგორც ჩვენთან უწოდებენ, ინგლისური სიტყვა (scotch), ინგლისელები ასე მოიხსენიებენ შოტლანდიელებს და საერთოდ ყველაფერს შოტლანდიურს: ვისკის, დიალექტს...

XX საუკუნეში საზოგადო სახელი **სკოტი** (შოტლანდიური) საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო საქმიანობისთვის განკუთვნილ წებოვან ლენტს უწოდეს, რის შემდეგაც აღნიშნული სიტყვა ტერმინად იქცა.

ზემოთ მოყვანილი ტერმინების განმარტებებზე მუშაობისას საკან-



ცელარიო საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი უცხო სიტყვა შეგვხვდა, რომელთა მნიშვნელობებსაც გაზეთის მომდევნო ნომერში პერიოდულად შემოგთავაზებთ.

მასალა მოამზადა სოფიო სულაბერიძემ

სიტყვათა აკილი

A crossword puzzle grid with letters already placed in some cells. The grid is 15 columns wide and 15 rows high. The letters are: Row 1: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:მ, 5:ი; Row 2: 1:ს, 2:ს, 3:ს, 4:ს, 5:ი; Row 3: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 4: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 5: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 6: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 7: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 8: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 9: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 10: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 11: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 12: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 13: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 14: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი; Row 15: 1:ს, 2:ს, 3:ა, 4:ს, 5:ი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა აკილი“ პასუხები: მდივანბეგი, ბუმერანგი, თადარიგი, ზიგზაგი, ჭილაგი, რინგი, ვანრიგი, უზანგი, ყანგი, აუგი, თარგი, დილეგი, ნიადაგი, არდადეგი, სარკოფაგი, წინააღმდეგი, ფარშევანგი, ლიანდაგი, ჭარმაგი, ქომაგი, თუნგი, ფარდაგი, შედეგი, ჭოგი, როზგი, ბადაგი, ათაბაგი, ამხანაგი, ნეკროლოგი, არქიპელოგი.

რედაქტორთა საბჭო: მონაწილე მხარეანაშვილი, ლია რუსაძე (გასუხიანდებელი რედაქტორი), რუსუაზნ სალინაძე, სოფიო სულაბერიძე, ტარიელ შატბერაძე (მთავარი რედაქტორი), შაშვან შაბაძე, მარიამ მაცარაძე, მამუკან შაბაძე, თინათინ ჯინაძე. დირექტორი: ლილა გაბრიძე, ვარლამ ღამბაძე. რეგისტრაციის ნომერი: №12/5-4818. მისამართი: 63360 მონაწილე, ფაქსი №2, ტ. 4-20-83, ელ. ფოსტა: kartuli 9 @ posta. ge. გაზეთი კომიუნტურზე აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა გ. ტაბიძის ხაზ. ს/ს „სტამბაში“ მისამართი: ქუთაისი, ი. ქავთავაძის ვაშ. №33.